საქართველოს მთავრობის

დადგენილება №250

2012 წლის 11 ივლისი

ქ. თბილისი

სამორინეს მოწყობისათვის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთებისა და შეღავათების დადგენის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 10^9 პუნქტის შესაბამისად:

1. დადგინდეს თანდართული „სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთები“.

2. სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლდეს სამორინეს მოწყობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის №226 დადგენილება „სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე“.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ი. მერაბიშვილი**

დანართი

სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთები

სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთებია:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით და 10^1 და 10^2 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა, – 5 000 000 ლარი;

ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – 100 000 ლარი.